ხელშეკრულება

(ობიექტის ცოცხალი ძალით დაცვის შესახებ)

ქ. გურჯაანი ოქტომბერი 2019 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. "ვიქტორია სექიურითი" მისი გენერალური დირექტორის გიორგი გუგეშაშვილის სახით, შემდგომში "დაცვად" წოდებული და მეორეს მხრივ, ააიპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი, დირექტორის ვალერი შოშიაშვილის სახით შემდგომში "დამქირავებელი", ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე "დამქირავებელი" ავალებს, ხოლო "დაცვა" ერთჯერადად ახორციელებს ქ. გურჯაანში ღვინის ფესტივალის მიმდინარეობისას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. CPV 79700000; 79713000.

1.2. მხარეები შეთანხმდნენ, რომ "ობიექტის" დაცვას შემსრულებელი განახორციელებს 40 მცველით, 2019 წლის 12 ოქტომბრის 08:00 სთ-დან 12 ოქტომბრის 23:00 სთ-მდე.

2. ,,დაცვის" ვალდებულებები

"დაცვა" ვალდებულია:

2.1. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე "დამქირავებლისგან" ჩაიბაროს "ობიექტი";

2.2. მოქმედი კანონმდებლობისა და აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს "ობიექტის" დაცვა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით;

2.3. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას ობიექტზე იმყოფებოდეს დამტკიცებული ფორმის ტანსაცმლით.

2.4. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს და საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტურ ორგანოებს;

2.5. "დაცვა" პასუხსარაგებს:

ა) "დამქირავებლის" მომსახურე პერსონალის და მომხმარებლის პირად საკუთრებაზე;

ბ) ზარალზე, რომლის დადგომის მიზეზი იყო "დამქირავებლის" დაუდევრობა;

გ) ობიექტის გარეთ დარჩენილ ფასეულობებზე.

3.,,დამქირავებლის" ვალდებულებები

"დამქირავებელი" ვალდებულია:

3.1. ხელშეკრულების ხელმოწერამდე განუსაზღვროს "ობიექტის" მთლიანი და მიმდებარე ტერიტორია სიტყვიერად ან შესაბამისი დოკუმენტაციით;

3.2 შემსრულებელს (დაცვის თანამშრომლებს) შეუქმნას სამუშაოსთვის აუცილებელი პირობები.

3.3 ხელშეკრულების პირობებისა და ვადების შესაბამისად დროულად განახორციელოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან;

3.4 "დამქირავებლის" მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში "დაცვისაგან" იხსნება პასუხისმგებლობა.

4. ანაზღაურება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4800 (ოთხიათას რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. "დამქირავებელი" მომსახურეობის შესაბამის თანხას "დაცვა"-ს გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორებით წესით მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება.

6. სხვაპირობები

6.1. მხარეები შესაძლო დავებს არეგულირებენ მოლაპარაკების გზით.

6.2. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაეცემა სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 "დამქირავებლის" მიერ "დაცვის" თანამშრომლისთვის სესხად, საჩუქრად ან სხვა სახით გაცემული თანხა, ნივთი ან მომსახურება არ ანაზღაურდება "დაცვის" სამსახურისმიერ.

6.4 დაცვის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი ან აზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულებისვადები

7.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

ხელშეკრულება შედგენილია ორეგზემპლარად. ერთი ინახება "დაცვა"-ში, მეორე "დამქირავებელთან". თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიულიძალა.

შ.პ.ს. "ვიქტორია სექიურითი"
ქ. თბილისი, ჩიქოვანისქ.#2
ს/კ 205119762
ა/ა G GE62BG0000000968127400
სს "საქართველოსბანკი" BAGAGE 22
ტელ: 2 50 50 90

ააიპ გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი
ქ. გურჯაანი, ნონეშვილისგამზ., №13
ს/კ 227767841
ტელ: ----------

გენერალური
დირექტორი

/გ. გუგეშაშვილი/

Giorgi Gugeshashvili
Digitally signed by Giorgi Gugeshashvili
Date: 2019.10.07 13:02:36 +04'00'

დირექტორი

/ვ. შოშიაშვილი/

GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Digitally signed by GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER
Date: 2019.10.07 12:29:12 +04'00'